MES 4 23 0000965860

04/08/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.07.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:09
სხდომის დასრულების დრო: 18:13
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოსმდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

9. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
13. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
15. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
18. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები:

სახელი, გვარი	**სტატუსი**
თინათინ ბაჯელიძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	ხათუნა მხეიძე			I

			სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	
3	მაია კილაძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	I
4	ნინო ლომიძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	აკაკი გუნცაძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	I
6	ლევან ციცქიშვილი		„ვეტერინარიის“ მაგისტრატურის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	თეა ოშხერელი		„ვეტერინარიის“ მაგისტრატურის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	ეკატერინე ბაკარაძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი	II
9	ნანა ჯაფარიძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	პავლე ჭელიძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	ნინა ჭანიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
12	ხათუნა საგანელიძე		პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი მედიცინის სკოლაში	II

13	ნათია ქაჯაია	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
14	ნონა გელიტაშვილი		ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	ნიკა დუდაშვილი		რექტორის მოადგილე	III
16	ღაღანიძე გიორგი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	IV
17	ნაცვლიშვილი ია		თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	IV
18	თამარ სულუხია		ISET-ის დირექტორი	IV
19	თეიმურაზ გოგსაძე		ISET ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
20	ნინო მუხურაძე		ISET აკადემიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
21	გვანცა კაკაურიძე		ISET პროგრამის კოორდინატორი, აკრედიტაციის საკითხებში კოორდინატორი	IV
22	სერგო ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი	V
23	გიორგი ევგენიძე		ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანო/ პროგრამის ხელმღვანელი	V
24	დავით ტეფნაძე		არისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
25	დიანა მჭედლიშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	VI, VII
26	შოთა ნიჟარაძე		კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	VI, VII

აკრედიტაციისექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თომას თიირათს (Toomas Tiirats)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი მელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო მილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი მღვდელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლორან კუნიონი (Laurent Counillon)	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ეკა ლეფსვერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ეკატერინე-მადონა ბუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, V
10	სოფიო ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
12	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:09 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით);
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით);

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

. კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით);
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით);
8. აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №427063 “სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული

ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

9. აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №632907 “სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასალათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
10. სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ნტეგრირებული სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ვეტერინარია 0841
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	347
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-სსასწავლო კორპუსი N 1 და N 8; 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა თავმჯდომარის, თომას თიირათსის ზეპირი მოხსენების თარგმნა უზრუნველყო ლაშა მაჭარაშვილმა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თომას თიირათსი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში პროფესიონალების გაზრდა ვეტერინარიის მიმართულებით. დაწესებულებამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები პროგრამის შემუშავების პროცესში. მისი მოსაზრებით ეს პროგრამა ძალიან ჰგავს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას, რადგან მუდმივად განვითარებადია და საჭიროებს პერიოდულად ახალი ინვესტიციების ჩადებას. ევროკავშირის სავეტერინარო ასოციაციის სტანდარტების შესაბამისობის მიღწევა არის ძალიან რთული, ეს მოლოდინები შესაძლოა არც არსებობდეს ახალი პროგრამის მიმართ. ევროპაში სავეტერინარო პროგრამების შეფასება ხდება მას შემდეგ, რაც პროგრამას ჰყავს კურსდამთავრებული. ამჟამად ნაკლებად მისაღებია ისეთი კომპლექსური შეფასების განხორციელება ახალი პროგრამებისადმი, როგორც ეს ხდება საქართველოში. პროგრამა შემუშავებულია ფრანგული პროგრამის მიხედვით, არის მცდელობა ფრანგული პროგრამა იყოს ადაპტირებული ქართულ გარემოში. პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით ნაკლებად აქვს კრიტიკული შეფასებები. ახალი პროგრამა პასუხებს იმ გამოწვევებს და მოთხოვნებს, რომელიც არსებობს დღესდღეობით ევროპაში. ვეტერინარია არ არის მხოლოდ სამედიცინო პრაქტიკა და ცხოველების მკურნალობა, არამედ იგი მოიცავს კვების უსაფრთხოებას, გარკვეულ ფარმაცევტულ საკითხებს, სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებს. ეს საკითხები მეტწილად დაფარულია პროგრამაში. თომას თიირათსმა ასევე აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს შეინიშნებოდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს პროგრამა არის ნამდვილად მნიშვნელოვანი და საჭირო. ვიზიტისას შეინიშნებოდა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა ძალიან დიდი ენერგია ჩადებული ამ პროგრამაში. ასევე შემუშავებული იყო თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი სტრუქტურა და ფორმატი. დაწესებულება გეგმავს ჩადოს მეტი ინვესტიცია პროგრამაში მას შემდეგ, რაც პროგრამას მიენიჭება აკრედიტაცია. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ელოდა, რომ მოსამზადებელ ეტაპზე იქნებოდა მეტი სამუშაო გაწეული, რადგან ამის საჭიროება არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ელოდნენ მეტ მიღწევას, პროგრამის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე მისთვის გასაგებია რატომაც ხდება ასე. ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაძლებლობა და რესურსები იმისა, რომ ეს პროგრამა განხორციელებული იყოს წარმატებით, რადგან ეს არის ძალიან დიდი უნივერსიტეტი, რომელსაც ასევე აქვს გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ არ ხორციელდება სავეტერინარო პროგრამა უნივერსიტეტს აქვს მეცხოველეობის პროგრამა, რომლის მიხედვითაც აქვს გარკვეული დარგობრივი გამოცდილება. პროგრამას არ ჰყავს დიდი

რაოდენობის აკადემიური პერსონალი, თუმცა მისი მოსაზრებით ამ ეტაპზე ეს არ არის დიდი გამოწვევა. ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც მეტი სამუშაოა ჩასატარებელი არის კლინიკური სწავლების ნაწილი, რათა პროგრამა იყოს მეტად შესაბამისი ევროპულ მოთხოვნებთან. ასევე უნივერსიტეტში გამოიკვეთა კლინიკური სწავლების რესურსების ნაკლებობა. ასევე, ზოგადად კომპლექსურობა ურთიერთთანამშრომლობისა სხვადასხვა დაწესებულებებთან, სადაც იქნებოდა შესაძლებელი პროგრამის განმავლობაში კლინიკური სწავლების განხორციელება. რაზეც ყურადღება გამახვილდა რეკომენდაციაშიც. საქართველოში სავეტერინარო განათლება, როგორც წესი არის 5 წელი, ხოლო საფრანგეთში 6 წელი, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა არის მთლიანად ფრანგული მოდელი, აქედან გამომდინარე ჰქონდათ შთაბეჭდილება, რომ პროგრამის კრედიტების მოცულობა არის ბევრი. იყო გარკვეული შეკითხვები რამდენად შეძლებდნენ პროგრამის სტუდენტები ამ დატვირთვის დაძლევას.

ერთ-ერთი საკითხი ასევე, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფმა გაამახვილა ყურადღება იყო პროგრამის შინაარსის მეტად მორგება ქართულ კონტექსტთან, მნიშვნელოვანია პროგრამა ითვალისწინებდეს იმ კონტექსტურ გამოწვევებს, რომლებიც არსებობს ქვეყანაში. თოომას თიირათსიმ აგალითისთვის ახსენა, რომ ზოგადად ევროპაში თევზების დაავადებები არ არის აქტუალური სავეტერინარო პროგრამაში, მაგრამ ნორვეგიაში ამას ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა. საქართველოს შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისეთი ინფექციური დაავადებები, რომლებიც აქ არის აქტუალური. უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ევროპაში რადგან კონტექსტურად საქართველოსთვის ეს პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, იყო გარკვეული შენიშვნები სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით. პროგრამის ზოგიერთ კურსში შეინიშნებოდა შედარებით ძველი, მაგალითად 60-იანი წლების ლიტერატურა. ერთ-ერთი საკითხი ასევე შეეხებოდა ბიო უსაფრთხოებისა და ლაბორატორიული უსაფრთხოების საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ისეთ კურსებთან როგორიც არის, მაგალითად მიკრობიოლოგია და ა.შ. სწორედ ამ კონტექსტში იყო განხილული ამ საკითხების მეტად წინ წამოწევა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული საქმიანობები, რომლებიც ტარდება პროგრამაში მათ ხელმძღვანელობდნენ აკადემიური პერსონალი და განხორციელება ხდებოდეს აკადემიური სტაფის ზედამხედველობის ქვეშ, სხვა შემთხვევაში თუ კი იქნება ეს საკითხი ნაკლებად დარეგულირებული შესაძლებელია, რომ სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ვერ მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგს. გარკვეულ შემთხვევაში, პრაქტიკულ საქმიანობაში სუპერვიზია ხდება სხვადასხვა პრაქტიკულ ობიექტებში დასაქმებული ადამიანების მიერ, აქედან გამომდინარეობდა შესაბამისად ეს რეკომენდაცია. ასევე, აღნიშნა, რომ დღესდღეობით უნივერსიტეტს აკლია აფილირებული, მუდმივი აკადემიური პერსონალი. თუმცა, ექსპერტებს ესმით, რომ ამ პერსონალის მოზიდვა მოხდება უფრო აქტიურად მას შემდეგ, რაც პროგრამაზე იქნებიან სტუდენტები და ეს პერსონალი გაუწევს სუპერვიზიას სტუდენტებს. იყო ასევე პერსონალთან დაკავშირებით შემდეგი შენიშვნა, რომ ერთ-ერთ პერსონალს ჰქონდა საკმაოდ დიდი სამუშაო დატვირთვა, რაც გარკვეული გამოწვევების შემცველი იყო. სხვადასხვა საგნებს უნდა ასწავლიდნენ სხვადასხვა ადამიანები, არ არის მისაღები ძალიან დიდი დატვირთვა პერსონალის. მნიშვნელოვანია, სამუშაო დატვირთვა იყოს გონივრული და ლოგიკური. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნივერსიტეტი ვეტერინარიის პროგრამის განხორციელების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიზანია უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს შექმნას უფრო ხარისხიანი პროდუქტი. აქვე, ხაზი გაუსვა, რომ არცერთი რჩევა და რეკომენდაცია არ იყო გაცემული კრიტიკულად ისეთი გაგებით, რომ მაგალითად ტექნიკურ უნივერსიტეტს არ უნდა ჰქონდეს ვეტერინარიის პროგრამა. თვლის, რომ მნიშვნელოვანია თბილისში არსებობდეს საჯარო სავეტერინარო პროგრამა, ხედავს რომ დაწესებულებას გააჩნია შესაძლებლობა ეს განახორციელოს. შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია და რჩევა მიმართული იყო იმისკენ, რომ უნივერსიტეტმა მეტად განავითაროს პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყველას ვინც ამ პროცესში იყო ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ თომას თიირათსის ხელმძღვანელობით ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი ჩატარდა. ობიექტური შეფასებისთვის კი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი განმარტებით, ექსპერტთა მთავარი შეკითხვა გამოიწვია პროგრამის სტრუქტურამ. პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან დაკავშრებით პრობლემა არ ჰქონიათ. მათი კითხვა იყო, როგორ დაიძლეოდა 347 კრედიტი 5 წლის განმავლობაში. დაწესებულების წარმოამდგენლის განმარტებით, მათ კანონმდებლობა არ დაურღვევიათ ზედა ზღვრების ფარგლებში, გაითვალისწინეს მინისტრის N3 ბრძანება. თუმცა, როცა პროგრამა იქმნებოდა მათთვისაც დისკომფორტი იყო, სტანდარტულ 60 კრედიტს ზევით გაეთვალისწინებინათ წლიური დასაძლევი კრედიტების რაოდენობა. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტმა რამდენჯერმე ახსენა copy paste დადებით კონტექსტში. მათი მცდელობა არ იყო გადმოეტანათ პირდაპირ ეს პროგრამა საფრანგეთის გამოცდილებიდან. ამ მიმართულებით ფრანგები წარმატებულები არიან და ზოგადად ევროკავშირში მოქმედი სტანდარტითაც ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა პრაქტიკულად ყველა ქვეყნისთვის საერთოა. დაწესებულების მიზანი იყო ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად წარმოედგინა აღნიშნული პროგრამა მისი სამიზნე შედეგები, რაც ოდნავ უფრო მეტი და დეტალურია მოთხოვნების ნაწილში ვიდრე ქართული დარგობრივი მახასიათებელი. დარგობრივი მახასიათებელი ამბობს, რომ სწავლების ხანგრძლივობა არის ხუთი წელი. არ ამბობს არანაკლებ ხუთი წელი. მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ხუთ - ნახევარი, ექვსი წელი გაეხადათ სწავლება, 60-55 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს სტანდარტულად გაევლოთ პროგრამა და დაეძლიათ სწავლის შედეგები. თქვა, რომ ეს არის ტექნიკური პრობლემა, ეს პროგრამა წარმოდგენილია 5 წლის ვადაში. თუმცა, ვინც კი მონაწილეობდა ქართული დარგობრივი მახასიათებლის შექმნაში თანხმდებიან, რომ ეს არის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი, მაგრამ ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით ხარვეზიანი, ვინაიდან უმაღლესი განათლების შესახებ კანონში წერია არანაკლებ 300 კრედიტი, ხოლო პერიოდში 5 წელი. თუ ეწერება სიტყვა არანაკლებ, მთელი ის რეკომენდაციები რაც ექსპერტმა ჯგუფმა გასცა, შეიცვლება. დავით მახვილაძემ თქვა, რომ ქართულ დარგობრივ მახასიათებელში აქვთ ერთი სიტყვის ნაკლებობა პროგრამის ხანგრძლივობასთან მიმართებით. დაახლოებით ოთხი რეკომენდაცია უკავშირდება სწავლებას პროგრამის კრედიტების მოცულობას. აქვე დაამატა, რომ ექსპერტები იძულებულები იყვნენ ეს რეკომენდაცია გაეცათ. აქედან გამომდინარე ვერ ამოიღეს ვერცერთი, ვერც მაპროფილებელი და ვერც მომიჯნავე სასწავლო კურსი, რომელიც აუცილებლად მიაჩნდათ ფრანგ კოლეგებს სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. თქვა, რომ ინტენსიური მუშაობა ჰქონდათ აკრედიტაციის განაცხადის წარდგენამდე 1 წლის განმავლობაში ფრანგებთან. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ყველა ფორმატში, ოთხ ფრანგულ უნივერსიტეტთან, რომლებიც კრავენ საფრანგეთში ვეტერინარიის სწავლების მიმართულებას. მანამდე, შედარებით ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ორი წლის განმავლობაში, ამზადებდნენ ამ ბოლო წლის ინტენსიურ სამუშაოებს. აღნიშნა, რომ პრაქტიკულად სამი წელი ეს პროგრამა მუშავდებოდა. ექსპერტთა მითითება, რომ ის სპეციფიკა, რაც საქართველოს რეალობაში არსებობს უნდა გაითავლისწინოს პროგრამამ, ეს საკითხები პროგრამის შემუშავების პროცესში გავლილია სპეციალისტებთან ერთად. აქვე დაამატა, პროგრამა თავისი შინაარსით და მიზნებით უფრო სპეციფიკური და კონკრეტულია. მართალია სრულად ფარავს ქართულ დარგობრივ მახასიათებელს, მაგრამ დამატებულია ფრანგული გამოცდილება. რაც შეეხება მეორე მიმართულებას დავით მახვილაძემ თქვა, რომ ექსპერტმა სწორი აქცენტებით ისაუბრა პრაქტიკულ ნაწილთან კლინიკურ სწავლებასთან მიმართებით, კერძოდ უნივერსიტეტისთვის საკუთარი კლინიკური ბაზის ქონაზე, რაც დაწესებულებამ კარგად იცის და რაზეც პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად დაწერილია პროექტი, რომელი აკრედიტაციის მიღების შემდეგ უნდა განახორციელონ. კერძდ, ფაკულტეტის ტერიტორიაზე ახალი კლინიკის აშენება, რომელიც თავიდან ბოლომდე

უპასუხებს არა მხოლოდ სასწავლო პროცესის საჭიროებასს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას არამედ სერვისსაც ამ მიმართულებით. დავით მახვილაძემ თქვა, რომ კლინიკა არ არის მხოლოდ შენობა, აღჭურვილობა. ეს არის სერიოზული ბიზნეს პროცესი თავისი მენეჯმენტით, პერსონალით, სტუდენტებით და ა.შ. შესაბამისად სანამ არ მოხდება პროგრამის იურიდიულად დამატება უნივერსიტეტისთვის, ასეთი ინვესტიციის განხორციელება განსაკუთრებით კი სახელმწიფო უნივერსიტეტში გარკვეულ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტმა შიშველი ხელებით მოინდომა ამ პროგრამის გახსნა. სანამ დაწესებულებას ექნება თავისი კლინიკა, რომელიც დაიწყება აკრედიტაციის მიღების შემდეგ, მანამდე დაწესებულებას აქვს 17 მემორანდუმი და ხელშეკრულება, რომლითაც თავიდან ბოლომდე ფარავს იმ საჭიროებას, რომლებიც პროგრამას განხორციელების ნაწილში სჭირდება. აქვე დაამატა რომ საჯარო და კერძო სექტორი თავიდან ბოლომდე ამ მიმართულებითაა დაინტერესებული, როგორც სააგენტო ასევე ვეტერინარული კლინიკები თავიდან ბოლომდე გაცნობიერებულად პროგრამის შემუშავების დროსაც და მიზნების გაზიარების დროსაც კარგად ხვდებოდნენ, რასთან ჰქონდათ საქმე და როგორი დამოკიდებულებით მუშაობდა ფაკულტეტი ამ მიმართულებაზე. დაამატა რომ პირადად იყო ჩართული ამ მიმართულების დეკანი, მისი ყველა მოადგილე, ხარისხის სამსახური, პროგრამის ორივე ხელმძღვანელი, ასევე მეცხოველეობის დეპარტამენტიდან წარმომადგენლები, სურსათის უვნებლობის მიმართულებიდან წარმომადგენლები. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ სურსათის უვნებლობის ნაწილში მნიშვნელოვანია ის, რომ მათ ჰყავთ ორი მილიონი ცხოველი, უფრო მეტი ფრინველი და ჰყავთ 500 ვეტერინარი, რომელთა 30% ასაკი არის საპენსიო. შესაბამისად ამ მიმართულებით დიდი გამოწვევებია, რასაც ამბობს სახელმწიფო, დაწესებულება, სურსათის უვნებლობის სააგენტო, აღნიშნა, რომ ურთიერთ გაზიარებული დამოკიდებულებებით მიმდინარეობდა ეს პროცესები და სანამ კლინიკას ააშენებენ თუ კი რამე არსებობს მომიჯნავე ლოგიკურ რადიუსში ყველა სიამოვნებით წამოვიდა შინაარსობრივ თანამშრომლობაზე. რაც შეეხება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას, ადამიანური რესურსის ნაწილში დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დეფიციტია პრაქტიკოსი ვეტერინარი სპეციალისტებისა და კიდევ უფრო დეფიციტურია აკადემიური ხარისხის მქონე იმ პერსონალის რაოდენობა, რომელიც დააკმაყოფილებს აკრედიტაციის და უნივერსიტეტის სტანდარტს და მითუმეტეს ასეთი პროგრამის სტანდარტს. თქვა, რომ მაქსიმალურად შეეცადნენ და გამოუვიდათ კიდეც ის, რომ შეკრეს საკმაოდ ძლიერი გუნდი, როგორც საჭირო მიკრობიოლოგია, მეცხოველეობის ნაწილი ასევე წმინდა ვეტერინარიის პროფილით. მათთან გააფორმეს ხელშეკრულება იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც პროგრამა მიიღეს აკრედიტაციას გამოცხადდება კონკურსი, მიიღებენ ამ კონკურსში მონაწილეობას და გახდებიან აფილირებული პროფესორები. სანამ არ ექნებათ პროგრამა მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მუდმივ ანაზღაურებად შტატზე აიყვანონ ეს პროფესორები. თუმცა ეს ადამიანები დღესაც შესაბამისი ანაზღაურებით შესაბამისი სტატუსით იურიდიულად უნივერსიტეტის პერსონალია. დავით მახვილაძემ ასევე თქვა, რომ მეცხოველეობის დეპარტამენტიდან ჰყავთ ვეტერინარები. აქვე დაამატა რომ სხვა მიმართულებითაც ჰყავთ აფილირებული აკადემიური პერსონალი.

დავით მახვილაძემ თქვა, რომ სწავლების ენა არის ქართული, თუმცა უნდოდათ, რომ ინგლისურზეც გასულიყვნენ. აქაც რესურსია პრობლემა ამიტომ ამ ეტაპზე თქვეს უარი. ლიტერატურა განახლებულად სცადეს წარმოედგინათ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაოები ჩაატარა უნივერსიტეტმა, ყველა საჭირო თანამედროვე მასალა მათ შორის, რომელიც ფრანგული უნივერსიტეტების მიერ იქნა მოწოდებული: რიდერებით, დამუშავებული მასალებით ყოფილიყო ხელმისაწვდომი თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებისთვის. რაც შეეხება 60-იანი წლების ლიტერატურას, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ იქ არსებული ინფორმაცია, რის გამოც ეს ლიტერატურა მითითებულია და რა თემატიკასაც ეხება არის უცვლელი თანამედროვე და ისეთი როგორიც დღევანდელობაში არის გამოსადეგი. შესაბამისად, როდესაც სწავლების მიზნებთან

თავსებადია, არც ამ ლიტერატურაზე ამბობენ უარს. აქვე დაამატა, რომ თუ არსებობს 60-იანი წლების ლიტერატურა საქმე გვაქვს ნაზრევ ლიტერატურასთან.
რაც შეეხება ლაბორატორიული უსაფრთხოების საკითხს, ნინო ლომიძემ ნაწილს აღნიშნა, რომ აგრარული მეცნიერებების ფაკულტეტი საკმაოდ კარგად აღჭურვილ ლაბორატორიას ფლობს, რადგანაც მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაზე გაკეთდა აქცენტი თქვა, რომ აღნიშნული ლაბორატორია აისო-ს სერტიფიკატის მფლობელია საკმაოდ გამართული უსაფრთხოების ნაწილშიც. ეს დადასტურებულია ხარისხის სერტიფიკატითაც.
პროგრამის ხელმძღვანელი, ლევან ციცქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან თქვა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მათ დახმარებას უწევდნენ ფრანგი კოლეგები, საფრანგეთის ოთხი ვეტერინარული კოლეჯიდან. ლევან ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ ფრანგი კოლეგა უშუალოდ იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები არის საკმაოდ ვრცელი და გარკვეულ ნაწილში საფუძვლიანიც. მან ასევე მაგანმარტა, რომ თითოეული რეკომენდაცია ცალ-ცალკე გაიარეს და მისთვის საინტერესო იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა, თუ რამდენად იყო ადაპტირებული ეს პროგრამა საქართველოს გამოწვევებთან მათ შორის სუფთა პროფესიული თვალსაზრისით იმ ინფექციური დაავადებებთან დაკავშირებით, რომელთა ეპიდემიოლოგიური გავრცელება ევროპაში და საქართველოში არის განსხვავებული. აღნიშნა, რომ ის ეტაპი, რაც მათ უნდა გაიარონ, უკვე გავლილი აქვთ. მან ასევე დაამატა, რომ მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ მიმართულებით არის უმნიშვნელოვანესი. პროგრამა წარდგენილი და განხილული იყო სურსათის ეროვნულ სააგენტოში. მას ესწრებოდა სააგენტოს უფროსი მოადგილე, ვეტერინარული დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოს მდივანი, ყველა დაინტერესებული პირი რომელსაც შეეძლო რამე რეკომენდაცია მოეცა პროგრამასთან დაკავშირებით. ლევან ციცქიშვილმა თქვა, რომ პროგრამას მიეცა ცალსახა დადებითი შეფასება, რისი მაჩვენებელიც არის ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან. ამ პროგრამას ესწრებოდნენ პირები, რომლებიც დარეგულირების შემუშავებაში იყვნენ ჩართულნი და მათ ცალსახად დააფიქსირეს აზრი, რომ ჩანაწერი უნდა იყოს არა ხუთი წელ,ი არამედ მინიმუმ ხუთი წელი.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა სწავლების მეთოდების მიმართულებით პერსონალის განვითარების ღონისძიებებზე. მან განმარტა, რომ ჩატარდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშრებით ტრენინგი, ასობით მასწავლებელმა და აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ეს კურსი, რაც ხორციელდებოდა შესაბამისი ხარჯების გაღებით ამერიკელი სპეციალისტების მიერ. ასევე, რეკომენდაცია იყო ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტულად მეხუთე სტანდარტთან მიმართებით და თქვა, რომ შეფასების კუთხით აბსოლუტურად ეთანხმებიან ექსპერტებს ახალ პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე 100% შეასრულონ, როცა არ ჰყავთ სტუდენტი და არ ჰყავთ კურსდამთავრებული. მათ მოუწევთ მუშაობის გაგრძელება იმ მიმართულებით, რა მითითებებიც არის წარმოდგენილი. შეჯამების კუთხით აღნიშნა, რომ ყველა შემდგომი ეტაპი არის დაკავშირებული საბჭოს გადაწყვეტილების მიღებასთან, რასაც მიიღებს საბჭო რომ, მიეცეს საბიუჯეტო დაწესებულებას ლეგიტიმური შესაძლებლობა გამოყოფილი თანხები და გაწერილი პროექტი, რომელიც დევს უკვე ხარჯვით ნაწილში და აღსრულების ნაწილში უნდა მოვიდეს შესაბამისობაში. შეფასება მოქმედი აკრედიტაციის დებულებით პირობით აკრედიტაციასთან არის თავსებადი, რაც იყო წარმოდგენილი. არსებული მდგომარეობა სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში სტატუსურად უკეთესი შეფასების შესაძლებლობას იძლევა, შესაბამისად დავით მახვილაძის მოსაზრებით, მიზანშეწონილია შეფასებამ აიწიოს, რათა დაწესებულებას ჰქონდეს გრძელვადიან პერიოდში სრულად პროექტის განხორციელების იურიდიული გარანტია. თუმცა, საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილების პირობებში დაიწყებენ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი სტანდარტი არის ხუთი წელი, თუმცა დარგობრივ სტანდარტში ასევე წერია მინიმალური კრედიტების ოდენობაც. დასვა კითხვა, თუ რამდენად იყო პროგრამა გთვლილი საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე?. მეორე კითხვა ეხებოდა პერსონალის რაოდენობას, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა ვერ აიყვანდნენ პერსონალს რიგი მიზეზების გამო, მაგრამ არის პრაქტიკაც, რომ შესაძლებელია აკადემიურ პერსონალს, რომელიც კონკურსის წესით არის აყვანილი, ჰქონდეს წინარე ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებებით მოხდეს დარეგულირება ის საკითხების, რომლებიც ახალ პროგრამებს ეხება.
რაც შეეხება დარგის პერსონალს, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა, ვინ უნდა უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომებს, და იგეგმებოდა თუ არა ამ მიმართულებით მოწვეულმა პერსონალის ჩართულობა.
დავით მახვილაძემ პირველ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც ამბობენ არანაკლებ 300 კრედიტი აქვთ მოთხოვნა, ეს ნორმალურ პირობებში ნიშნავს არანაკლებ 5 წელს ანუ წელიწადში 60 კრედიტს. თუმცა, უშუალოდ დროის პერიოდის ნაწილში აქვთ ხუთი წელი. ამიტომ მოკლებულნი არიან შესაძლებლობას საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე გათვალონ საგანმანათლებლო პროგრამა.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, დაწესებულება რას სთავაზობს იმ სტუდენტებს, რომლებიც ვერ შეძლებენ დამატებითი ECTS კრედიტების დაძლევას.
ამ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თუ სტუდენტს აქვს გარკვეული აკადემიური ჩამორჩენა და ვერ აგროვებს სათანადო კრედიტებს, აღნიშნული გამოწვეულია არა სტუდენტის, არამედ უნივერისტეტის ბრალეულობით, უნივერსიტეტი მათ სთავაზობს დამატებით სემესტრებში გააგრძელოს სწავლა უნივერსიტეტის დაფინანსებით.
გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა აღნიშნული შესახებ რომელ დოკუმენტში იყო მითითება.
რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული მოხსენიებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც მოქმედებს ყველა პროგრამაზე. თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 5 წელიწადში დამთავრებას მოხდება დამატებითი სემესტრის დამატება.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას სთხოვა დაზუსტება, კონკრეტულად რომელ დოკუმენტში წერია, რომ თუ უნივერსიტეტი ბრალეულობით მოხდა სემესტრის დამატება სტუდენტისთვის, უნივერსიტეტი აფინანსებს სტუდენტს?
შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ არაერთ პროგრამაზე მოუწიათ მოდიფიცირების გაკეთება, მათ შორის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებების გამო. ამ ყველაფერმა გარკვეული აღიარებების ნაწილში მოქმედ სტუდენტებს შეუცვალა მდგომარეობა და მოუწიათ დამატებითი კრედიტების აღება. ამიტომ ზოგს მოუწია დამატებით ერთი სემესტრის გავლა. ამ შემთხვევაში ის, რაც სტუდენტის მიზეზით არ არის გამოწვეული ყველაფერს ფარავს უნივერსიტეტი, რაც პრაქტიკითაც არის მოცემული კონკრეტული რიცხვებით სტუდენტებისა და თანხებით უნივერსიტეტში წლების მიხედვით. ამიტომ ეს ცალსახად დადგენილი პრაქტიკაა. ამის პარალელურად ოფიციალურად ცდილობენ დააინიცირონ საკითხი სიტყვა ,,არანაკლებ'' დაემატოს დარგობრივ მახასიათებელს.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, როგორ დაადგენს უნივერსიტეტი, რომ სტუდენტმა შესაბამისი აკადემიური მოუსწრებლობის გამო ვერ დაძლია ეს პროგრამა შესაბამის დროში და როგორ გამოარჩევენ ასეთ სტუდენტებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამიზნე ნიშნული 60 კრედიტია.
გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულებას მიმართა კიდევ ერთი დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ, თუ სტუდენტს ათვისებული ექნება 60 კრედიტი, დაწესებულება რა პრინციპით უზრუნველყოფს დარჩენილი კრედიტების დაფინანსებას?

ამ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გარდამავალ ეტაპზე ასეთი რეგულაცია აქვთ, მაგალითად თუ სტუდენტი დააგროვებს 45 კრედიტს, პირობითად 67 კრედიტიან სემესტრში ან 70 კრედიტიან სემესტრში, ამ შემთხვევაში მხოლოდ 5 კრედიტის ფარგლებში ექნებათ ფინანსური ვალდებულება. ხოლო ის, რაც სტანდარტულს ზევით არის პროგრამაში მანამ ,სანამ გასწორდება დარგობრივი მახასიათებელი დაფინანსდება.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ შეკითხვას, პრაქტიკა ნამდვილად არსებობს, რომ გამოცხადდეს თვე ნახევრიანი აკადემიური კონკურსი. სამართლებრივად იურიდიული თანამშრომლობის შრომითი ხელშეკრულების ნაწილში იდენტური ალტერნატივა აქვს წარმოდგენილი ტექნიკურ უნივერსიტეტს, როდესაც ხდება მოწვევა პერსონალის ისევ იგივე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და იდენტური კონტრაქტების დადებით. ნებისმიერი აკადემიური სტატუსის მქონე პირს ევალება *აფილირება*. ათასივე აკადემიური პერსონალი არის აფილირებული, რაც აქვთ მოთხოვნად და გამონაკლისებს არ უშვებენ. ამიტომ ძნელია მოქმედ პროფესორს უთხრან მათთან *აფილირება* გააკეთონ იმ პირობებში, როცა აკრედიტაცია არ აქვთ. ამიტომ აიღეს პრაქტიკა, რომ პერსონალი დააკონტრაქტეს იმ გარანტიებით, რომ ისინი გააგრძელებენ მათთან თანამშრომლობას როგორც აკადემიური პერსონალი. რაოდენობა რაც არის პროგრამის განმახორციელებლებისა, არის რამდენიმე მოქმედი ვეტერინარი იგივე მეცხოველეობის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ცხრილში, რომელიც დასკვნაშია მოცემული, წერია ორი პროფესორი ხოლო ჩვიდმეტი არის მოწვეული პერსონალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი არის 18. აქედან პროფესორი არის 16, ასოცირებული პროფესორი 2, სამეცნიერო პერსონალი არის 2 ხოლო მოწვეული პერსონალი არის 39.

გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულებას სთხოვა, დაეზუსტებინა, რამდენი დარგობრივი პერსონალი ჰყავდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დარგობრივი პერსონალის შემთხვევაში მათ წინასწარი მოწვევები გაფორმებული აქვთ.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით აფილირებული პერსონალის რაოდენობა ხელმძღვანელების რაოდენობაში არ ფიქსირდება, დაწესებულებას სთხოვა ამ საკითხის განმარტება.

დავით მახვილაძემ აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ პროგრამა სანამ არ არსებობს როგორც სამეცნიერო, ასევე აკადემიური მიმართულებით მოქმედი პროფესორი არ თანხმდება *აფილირებას*, არ წყვეტს სხვაგან *აფილირებას* და არ თანხმდება ახალ პირობებს არარსებული პროგრამის ფარგლებში.

გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა, გაფორმებულია თუ არა წინარე ხელშეკრულებები და რა შინაარსისაა ეს ხელშეკრულება?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წინარე ხელშეკრულებები გაფორმებული აქვთ.

გოდერძი ბუჩაშვლმა ითხოვა დაზუსტება, პერსონალთან, რომელთანც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, მათ გავლილი აქვთ თუ არა კონკურსი?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კონკურსი გავლლი არ აქვთ.

გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ კონკურსის გავლის შემდეგ ხდება წინარე ხელშეკრულების გაფორმება.

დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ეს არის პრობლემური პრაქტიკა.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ გასაგებია დაწესებულების პოზიცია აკრედიტაციის მიღების შემდეგ აიყვანონ აკადემიურ პერსონალი, მაგრამ აკრედიტაციის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა აკადემიური პერსონალია.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი კითხვა, კერძოდ არსებობს თუ არა ამჟამად სიმულაციური ცენტრი და არსებობის შემთხვევაში, რამდენად ჯეროვნად არის აღჭურვილი. ასევე, აინტერესებდა დაწესებულება აპირებს თუ არა

ოსკის ტიპის გამოცდების ჩატარებას, რაც რჩევაშია მოცემული ექსპერტების მიერ. ასევე აინტერესებდა რამდენად გათვალისწინებულია ეთიკური საკითხები სტუდენტების ცხოველებთან კლინიკური მუშაობის შემთხვევაში. ასევე დასვა შეკითხვა, რატომ აღმოჩნდა 60-70 წლებში გამოცემული მოძველებული ლიტერატურა ახალ პროგრამაში.

ლევან ციცქიშვილმა ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონკრეტულად იყო მითითებული სილაბუსი და ლიტერატურა, რომელიც ეხებოდა პათოლოგიური კვლევის საფუძვლებს. თქვა რომ აღნიშნული ლიტერატურა მოთავსებული იყო მათი კოლეგის სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის დეკანის, რომელიც არის 40 წლიანი გამოცდილებით პათოლოგიურ ანატომიაში და ეს ლიტერატურა ეხება სწორედ ამ საფუძვლებს, რომელიც აუცილებელია. აღნიშნული ლიტერატურის გვერდზე არის თანამედროვე უცხოური ლიტერატურა, რომელიც 2021 წლის გამოცემაა და რომელსაც თან ერთვის *რიდერი*. გამომდინარე იქიდან, რომ ფუნდამენტურ ცოდნას აძლევს საფუძვლები, ჩათვალეს, რომ უნდა ყოფილიყო სილაბუსში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა არის ძალიან მწირი, მთავარ ამოცანად მიაჩნიათ სწორად მოახდინონ დასავლური ევროპული ლიტერატურის ადაპტირება მათი სტუდენტებისთვის. რაც შეეხება ეთიკის საფუძვლებს თქვა, რომ თვითონ არის დამფუძნებელი GALAS-ის, რომელიც არის ლაბორატორიულ ცხოველთა სამეცნიერო ასოციაცია, რომელიც აქტიურად მუშაობს. ისინი მაქსიმალურად ევროპული *გაიდ ლაინების* და რეკომენდაციების გამოყენებით თავს იკავებენ ლაბორატორიული ცხოველების ჩართულობაზე საგანმანათლებლო პროცესში სწორედ ამ ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე. ბოლო ეტაპზე როდესაც სამაგისტრო ნაშრომი იქნება, ლაპარაკია ვივარიუმზე, რომლის აღჭურვაც აპირებს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტი. მას შემდეგ, რაც ლაბორატორიული ცხოველების ჩართვა მოხდება სამეცნიერო მიმართულებით დარწმუნებულია ტექნიკურ უნივერსიტეტს ექნება გამართული ინფრასტრუქტურა, რომ ყველანაირი ეთიკური ნორმა იყოს დაცული. მათ შორის ინსტიტუციური კომიტეტები შეიქმნება საქართველოში, რაც უკვე არის დაავადებათა კონტროლის ცენტრში, აგრარულ უნივერსიტეტში და ა.შ.

ხათუნა თოდაძემ დასვა კითხვა კლინიკური პრაქტიკის შემთხვევაში გარკვეული მანიპულაციების გაკეთება მოუწევთ სტუდენტებს, მოიყვანა მაგალითი, როდესაც სტუდენტები კლინიკურ დონეზე მუშაობენ ზედამხედველობის ქვეშ და ნებადართულ მანიპულაციებს ატარებენ, პაციენტს სთხოვენ ინფორმირებულ ნებართვას. ცხოველების შემთხვევაში ეს შეუძლებელია ამიტომ აინტერესებს, როდესაც კლინიკური წლები დაიწყება, ექნებათ თუ არა მათ საჭიროება, ჩაატარონ გარკვეული მანიპულაციები, ამ შემთხვევაში როგორ დარეგულირდება ეთიკური საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მუშავდება კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე ამ ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. პირველ ეტაპზე აქვთ ხელშეკრულება ყველა წამყვან ვეტერინარულ კლინიკასთან, სადაც აპრობირებული და გაანალიზებულია ყველა ის საკითხი ეთიკასთან დაკავშირებით, რაც საჭიროა პაციენტთან ურთიერთობიდან გამომდინარე ასევე არის სპეციფიკური რეგულაციები სასაკლაოებზე. სპეციალური კანონი არეგულირებს თუ როგორი უნდა მოხდეს ურთიერთობა ცხოველსა და ვეტერინარს შორის, არა მარტო ცხოველსა და ვეტერინარს შორის, არამედ ცხოველის პატრონთან დაკავშირებით. საფრანგეთის ერთ-ერთი მარეგულირებლის რეკომენდაცია მოიცავ მთლიანად ამ საკითხს ეთიკური ნორმების, როგორც ცხოველსა და ვეტერინარს შორის, ასევე ცხოველის მეპატრონისა და ვეტერინარს შორის. რაც შეეხება ვირტუალური სწავლების და გამოცდების საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტს აქვს ''*ვირტუალ ვეტის*'' ლაბორატორია, სადაც არის ინტერნეტ ბაზები სადაც მაქსიმალურად შემცირებულია ცხოველთან დაწყებით ეტაპზე, სანამ პროფესიონალურ ჩვევებს დაეუფლება ეს ყველაფერი მოხდეს ვირტუალურ რეჟიმში. დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის მოხდეს ამ უნივერსიტეტში ''*ვირტუალ ვეტის*'' სწავლების გაზიარება.

დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ამ ყველაფერს ითვალისწინებს პროექტი და ელოდება აკრედიტაციას, რათა განხორციელდეს შესყიდვები.
რაც შეეხება გამოცდების მეთოდის გამოყენებას ლევან ციცქიშვილმა თქვა, რომ რა თქმა უნდა აპირებენ, მაგრამ რეკომენდაცია ამის დანერგვის ევროპელი მეგობრებისგან არ მიუღიათ. თქვა, რომ ნანტის ვეტერინარულ კოლეჯს ეს დანერგილი არ აქვს, ''*ვირტუალა ვეტის*'' ბაზა სრულად მოიცავს ამ ყველაფერს, გამოცდების ჩაბარების საშუალება აქვთ მათ სიმულატორებზე. თუ რეკომენდაცია იქნება დარწმუნებულია ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა აღჭურვოს საგამოცდო ბაზა. ლევან ციცქიშვილმა თქვა, რომ თვითონ იყო ექსპერტი ევროპის უნივერსიტეტის ვეტერინარული პროგრამის აკრედიტაციის და მსგავსი გამოცდილება არის საქართველოში შესაბამისად, არ მიაჩნია სირთულედ ეს დაინერგოს. მას შემდეგ, რაც ამას ურჩევენ ევროპელი კოლეგები.
ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. დასვა კითხვა განხილული აქვთ თუ არა საქართველოში ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება. ასევე აინტერესებს, როგორია აბიტურიენტების დაინტერესება ამ პროგრამაზე. ასევე რა მოლოდინები აქვთ, როდესაც ამ პროგრამაზე მიღება გამოცხადდება. თქვა, რომ პროგრამის კრედიტების რაოდენობა გაზრდილია ძირითადი სპეციალობის ხარჯზე, დასვა კითხვა რა უპირატესობას აძლევს ეს პროგრამა სხვა პროგრამებისაგან შედარებით.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ განხილულია არა მხოლოდ გამოცდილება, არამედ შემუშავების პროცესში ქართული გამოცდილებით საუბრობდნენ. სწორედ ამიტომ ვერ მოხდა იდენტურის გადმოტანა ფრანგულიდან, რადგან ქართულ გამოცდილებას ითვალისწინებდნენ. დაამატა რომ ქართული გამოცდილება სრულად არის გათვალისწინებული. რაც შეეხება აბიტურიენტებით დაინტერესებას და მოლოდინს თქვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებაა სახელმწიფოს მხრიდან და ყველა ოფიციალური წარმომადგენელი აღიარებს, რომ სახელმწიფო დონეზე პრიორიტეტულია. როგორც მარკეტინგული კუთხით საჭიროებიდან გამომდინარე ასევე პერსპექტივის კუთხით, მათ შორის შრომის ბაზარზე ანაზღაურების კუთხით და ა.შ. კიდევ უფრო გაძლიერდება ეს მიმართულება. ევროპული კანონმდებლობის დანერგვა, რომელსაც ჩვენ გვავალდებულებს ასოცირების შეთანხმება კიდევ უფრო გაძლიერდება ეს ნაწილი. მოლოდინი აქვთ შემდეგი თუ ევროპული ხარისხის სწავლებას არ შესთავაზებენ სტუდენტებს სერიოზული პრობლემა შეექმნება ამ მიმართულებით საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს საქართველოში.
ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ მთავრობა მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალ პოლიტიკაზე, რომელიც 2024-2025 წლებიდან დაიწყება, სადაც საუბარია სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული პროგრამების წესის შეცვლაზე, ამ შემთხვევაში რა მექანიზმებს განიხილავენ თუ რაიმე შეეხო ამ პროგრამას.
დავით მახვილაძემ თქვა, რომ ის ცვლილება რაზეც მუშაობს მთავრობა და წარმოადგენს განათლების მეცნიერების სამინისტრო ყველაზე მეტად ხელს უწყობს ისეთ უნივერსიტეტს, როგორიც არის ტექნიკური უნივერსიტეტი. რაც შეეხება ვეტერინარიის ნაწილს, მან თქვა, რომ ეს დარგების შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურება იქნება ამ კუთხით შიდა დონეზე გარკვეული მონახაზები აქვთ.
ლევან ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს მათი სტუდენტების სტაჟირებას საფრანგეთში. იმისათვის რომ პრაქტიკის ნაწილი გაეტარებინათ, რაც პროგრამაში ჩადებულია ძალიან კონკრეტულად. თქვა რომ იყოფა ჯგუფები მიმართულებების მიხედვით პრაქტიკის ნაწილში. სულ გეგმავენ 30 სტუდენტის მიღებას. პრაქტიკის ნაწილი იყოფა ორი მიმართულებით ერთ ჯგუფს შეუძლია წავიდეს და პრაქტიკის ნაწილი გაიაროს საფრანგეთის ბაზაზე, მაშინ როდესაც მეორე ნაწილს მომდევნო სემესტრში შეეძლება იმავეს გაკეთება. თქვა, რომ ისინი ამას ვერ მოახერხებდნენ, თუ სტუდენტები არ დაფარავდნენ იმ თემატიკებს და კრედიტების იმ რაოდენობას რა რაოდენობაც არის. მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ის

თემატიკები გავლილი რაც ისწავლება იქ. სხვანაირად ვერ გავლენ იმ შედეგზე და დამასრულებელ კურსზე, რაღაც პრაქტიკის კომპონენტი შეიტანონ. კრედიტების რაოდენობის ანალოგიურობა ფრანგულ მხარესთან აძლევდა აუცილებლობას გაეზარდა ეს კრედიტები.
საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ დაწესებულების წარმომადგენელი საუბრობდა კლინიკის მშენებლობის საკითხზე, მისასალმებელია რომ მზაობა ამ კუთხით დაწესებულებას აქვს. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ კლინიკა უნდა აშენდეს ფაკულტეტის ტერიტორიაზე. დაამატა, რომ გარკვეული სპეციფიკები გააჩნია ამ კლინიკებს აინტერესებს, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია პროგრამის ხელმძღვანელობას ასეთი კლინიკების არსებობა ფაკულტეტის ტერიტორიაზე და ხომ არ შეუშლის ეს ხელს სასწავლო პროცესს.
ლევან ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ კლინიკა არის აუცილებელი, რაც ცალსახაა. ამის ფინანსური შესაძლებლობა კი ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია. ეს იქნება უდიდესი პლუსი, არა მარტო საგანმანათლებლო პროცესისთვის უნივერსიტეტში ზოგადად კლინიკური ვეტერინარიისთვის ქვეყანაში. იგეგმება გაკეთდეს კლინიკა და აღიჭურვოს სწორედ იმ ინფრასტრუქტურით, რაც აქვს დასავლეთს და მიიღონ აკრედიტაცია. ხაზგასასმელია, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც კი არ არის ვეტერინარული კლინიკა, რომელიც აკრედიტებული იქნება ევროპის მიერ. დაწესებულების მიზანია ჩამოაყალიბონ ისეთი კლინიკა, რომელიც არა მარტო სასწავლო პროცესში იქნება ჩართული არამედ იმ მოთხოვნებს გასცემს პასუხს, რა მოთხოვნებიც დღეს დღეობით კლინიკურ ვეტერინარიაში არსებობს საქართველოში.
დავით მახვილაძემ თქვა, რომ ფაკულტეტის ტერიტორიაზე სრულიად ახალი შენობის აშენებაზეა საუბარი ყველა სტანდარტის დაცვით.
დაწესებულების წარმომადგენელი, თეა ოშხერელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. თქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კლინიკა მიბმული იყოს სასწავლო პროცესთან რაც უფრო ადვილი იქნება ეს კლინიკა მისასვლელად სტუდენტისთვის უფრო კარგი იქნება. გეგმავენ რომ ეს არ იყოს მხოლოდ სასწავლო კლინიკა და იგი იყოს უფრო ფართომასშტაბიანი საქმიანობით წარმოდგენილი. განსაკუთრებული შემთხვევების დროს სტუდენტებს უფრო მობილურად უნდა შეეძლოთ დასწრება კლინიკურ შემთხვევებზე. კლინიკა, რომელიც იქნება მოწყობილი იგი შესაბამისი იქნება არა მარტო საქართველოს კანონმდებლობასთან არამედ სხვა მოთხოვნებთანაც. ცდილობენ ეს კლინიკა დაკომპლექტებული იყოს ევროპულ მაგალითზე. რაც უფრო პრაქტიკულს გახდის სასწავლო პროცეს. მათი სტუდენტები ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მზად იყვნენ ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში. რაც შეეხება ვეტერინარების საჭიროებას, თქვა რომ განსაკუთრებით დიდი პრობლემაა რეგიონებში ვეტერინარების არარსებობა.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, რომელ ბიუჯეტში აქვთ გაწერილი კლინიკის მშენებლობის ხარჯები.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭო ტარდება გაერთიანებული ფორმატით. თქვა, რომ ამ პროექტის დაფინანსება მოხდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა იყო თუ არ ინფორმაცია მოცემული რომელიმე დოკუმენტში.
რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს დოკუმენტი ვერ იქნება, რადგან წარდგენილია მიმდინარე წლის ბიუჯეტი. თქვა რომ საბიუჯეტო ხარჯების დაგეგმვა იწყება ოქტომბრის ბოლოს ამიტომ გამოირიცხება წელს ყოფილიყო ეს ხარჯები გათვალისწინებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:56 სთ
დასრულების დრო: 16:13 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით (2025 წლის 21 ივლისი)

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1.1 ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურიკულუმის კრედიტების გადახედვას ქართული რეალობისა და საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებით, რათა დარწმუნდეს, რომ მიზნების მიღწევა 5 წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი;

1.2 ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს პროგრამის გადახედვას წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად;

1.3 დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირე უნდა დაემატოს დაკონკრეტებული ფორმით და წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლებით, რომელთა საშუალებითაც მოხდება მიღებული შედეგების შედარება;

1.4 ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურიკულუმის კრედიტების გადახედვას მათი შემცირების მიზნით, ქართული რეალობისა და საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებით;

1.5 რეკომენდებულია სილაბუსებში თანამედროვე და ადეკვატური ლიტერატურის გამოყენება;

1.5 გადაიხედოს და შეიცვალოს ყველა შეცდომებით დაწერილი სილაბუსი და გასწორდეს ნაკლული/ მცდარი შინაარსი.

2.2 რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა განავითაროს კლინიკური პრაქტიკული ელემენტები საუკეთესო ევროპული ვეტერინარული პრაქტიკის მიხედვით.

2.2 მნიშვნელოვანია, რომ პროგრამამ განავითაროს დიაგნოსტიკური და თერაპიული საშუალებების ფართო სპექტრი, მათ შორის: კლინიკური დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია, კლინიკური პათოლოგია, ანესთეზია, ქირურგია და მკურნალობის უნარები, და შეუძლია უზრუნველყოს ინტენსიური/ კრიტიკული მკურნალობა, ამბულატორიული მომსახურება, ფარმაცია და გაკვეთის საქმიანობა.

2.3 ცოცხალი ცხოველების გამოყენება სწავლებაში მნიშვნელოვანია, რაც გარანტირებული უნდა იყოს სწავლის პერიოდის ყველა საფეხურზე (განსაკუთრებული აქცენტით ფერმის ცხოველებზე).

2.3 მკაცრად რეკომენდებულია, რომ პრაქტიკული ტრენინგი როგორც სწავლის მეთოდი, დაინერგოს როგორც ძირითადი კლინიკური ტრენინგი, უნივერსიტეტის პედაგოგთა უშუალო ზედამხედველობით (მაგ. ამბულატორიული კლინიკები, ნახირის ჯანმრთელობის მართვა,

პრაქტიკული ტრენინგი ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, მათ შორის სურსათის უვნებლობა და ხარისხი).
2.4 სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, რომელიც ნაწილდება 15 კვირაზე. მაქსიმალური შეფასება თითოეული კვირისთვის არის 4 ქულა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული პრაქტიკა 3- დან 5 კვირამდე გრძელდება, ექსპერტები თვლიან, რომ გარე პრაქტიკის სილაბუსებში სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები შესაბამისად უნდა იყოს მორგებული.
4.1 რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შექმნას ვეტერინარული გამოცდილების მქონე მუდმივი აკადემიური პერსონალის ძირითადი ჯგუფი.
4.1 პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ უნივერსიტეტის მუდმივი აკადემიური პერსონალის ნაწილი.
4.1 მასწავლებელთა ჩართულობა ოპტიმალურად და დაბალანსებულად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა შენარჩუნდეს სწავლების ხარისხი და უზრუნველყოფილი იყოს, რომ თითოეული მასწავლებლის დატვირთვა გონივრული და ადეკვატური იყოს.
4.3 უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მოწვეული პერსონალის აკადემიური შეფასების სისტემა.
4.3 უნივერსიტეტი პასუხისმგებელია მოწვეული პერსონალის პედაგოგიურ უნარებზე ზრუნვასა და ტრენინგზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იპოვოს მათი კვლევით აქტივობებში ჩართვის გზები
4.4 უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აღჭურვილობის შესყიდვის სრული სია პრაქტიკული სწავლის ადეკვატური ხარისხის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის საკუთარი კლინიკური დაწესებულებები, ისევე როგორც პარტნიორების (კერძო კლინიკები და ცხოველთა თავშესაფრები) აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უახლესი ვეტერინარული აპარატურით და ინსტრუმენტებით.
4.4 უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა ხელმისაწვდომობა დიაგნოსტიკური და თერაპიული საშუალებების ფართო სპექტრზე, მათ შორის (და არა მარტო): კლინიკური უნარების ლაბორატორია, დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია, კლინიკური პათოლოგია, ანესთეზია, ოპერაციები და სამკურნალო საშუალებები, ინტენსიური/ კრიტიკული მკურნალობა, ამბულატორიული მომსახურება, ფარმაცია და ნეკროპსიის ობიექტები. ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროცედურები და საშუალებები ტრანსფერული უნარების ტრენინგისთვის, მაგ. კომუნიკაციის უნარების ტრენინგი როლური თამაშის საშუალებით.
4.4 რეკომენდებულია თანამედროვე და ადეკვატური ლიტერატურის გამოყენება. (უახლესი ინგლისური ლიტერატურის გვერდით შემოთავაზებული იყო 1960- 70- იანი წლების რუსული და ქართული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები. ასეთი მოძველებული ინფორმაცია თავდაპირველ ფორმატში ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად ან სასარგებლო მასალად).
4.4 სტუდენტების, ასევე ცოცხალი ცხოველების, გვამების, ცხოველური წარმოშობის მასალების და სხვა სასწავლო მასალების ტრანსპორტირების ორგანიზებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოება, ცხოველთა კეთილდღეობა და თავიდან აიცილოს ინფექციური აგენტების გავრცელება.
4.5 უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა (ობიექტები, აღჭურვილობა, პერსონალი და ა.შ.) საჭირო თანხებით.
5.1 საჭიროა რესურსების დეტალური შეფასებისა და შესაძლო დეტალური სქემის შემუშავების კოორდინაცია საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების შესაძენად.
5.3 პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია რეგულაციებით გათვალისწინებული მექანიზმების უფრო სრულყოფილად გამოყენება - მატერიალური რესურსების შეფასება, პროგრამის წინაპირობები/ მკითხველი ქართულ ენაზე, პროგრამის მდგრადობა, აკადემიური პერსონალის შეფასება და ა.შ.

რჩევები:

1. ძალიან მნიშვნელოვანია ნანტის ვეტერინარულ სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რათ უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.
2. თანამედროვე სასწავლო გეგმების გამოწვევა და ფრანგული მოდელის (მათ შორის შინაარსის) გადმოღება მოითხოვს ახალ (ინტერდისციპლინურ) მიდგომებს პროცესებში (მათ შორის სწავლების მეთოდებში), რომლებიც საჭიროებს გულმოდგინე მონიტორინგს და კოორდინაციას.
3. ექსპერტთა კომიტეტი გთავაზობთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების (Erasmus და სხვ.) წამოწყებას ვეტერინარიის სფეროშიც. ფორმალიზებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კურსის შინაარსის შემდგომ განვითარებას და ამჟამინდელი და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადებას.
4. სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას გეგმა და განახორციელოს ზომები, რომლებიც დაეხმარება პირველი კურსის სტუდენტებს გადაჭრან ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებული გამოწვევა.
5. სასურველია სტუდენტების შეფასება კლინიკურ დისციპლინებში განხორციელდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE).
6. ხელმისაწვდომი უნდა იყოს დიდაქტიკური და პედაგოგიური მომზადებისა და სპეციალიზაციის შესაძლებლობები. უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ განსაზღვრული დაჯილდოების სისტემა გამორჩეული სწავლებისთვის.
7. უნივერსიტეტში ასევე უნდა ჩამოყალიბდეს ვეტერინარული სადოქტორო პროგრამა გრძელვადიან პერსპექტივაში.
8. საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ვეტერინარიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის, ერთობლივი კვლევითი პროექტების გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს
9. საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის.
10. ძალიან მნიშვნელოვანია ნანტის ვეტერინარულ სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.
11. საჭიროა რესურსების დეტალური შეფასებისა და შესაძლო დეტალური სქემის შემუშავების კოორდინაცია საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების შესაძენად.
12. პროგრამის განხორციელების დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს განვითარების პროცესი EAEVE (ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაცია) მიერ ბაკალავრიატის ვეტერინარული განათლებისთვის დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით.
13. გადაწყვეტილების მიღებისთვის უფრო ობიექტური და სანდო ინფორმაციის მისაღებად დაწესებულებამ უნდა გაზარდოს გამოკითხვებში ჩართული რესპონდენტების - განსაკუთრებით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობა.

მეორე საკითხი. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 12 აპრილი, N 380603
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოლოგია 0511
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ბოხუას ქ. 11, თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა თავმჯდომარის ლორან კუნიონის თარგმანი უზრუნველყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მაჭარაშვილმა.
ექსპერტთა თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ შეფასება მოხდა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის, აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან ფართო დარგი, რომელიც მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს, როგორც სასწავლო კომპონენტს, ისე დიდ და ძლიერ კვლევით კომპონენტს. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ ამჟამად პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები, რაც გარკვეულწილად ექსპერტთა ჯგუფისთვის იყო გამოწვევა, რადგან არ იყო შესაძლებლობა შეხვედრილიყვნენ იმ სტუდენტებს, რომლებიც ამ პროგრამაზე სწავლობენ. თუმცა, ექსპერტები შეხვდნენ სხვა სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს. მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ სადოქტორო განათლება არის ყველაზე მაღალი საფეხური აკადემიური განათლების, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი იყო კონცენტრირებული, დაენახა ისეთი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, რომელიც შეესაბამება სწავლების სწორედ ამ საფეხურს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ზოგადად აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია პროგრამაში არის შესაბამისი კვალიფიკაციის სადოქტორო განათლებასთან. ასევე აღნიშნა, რომ საკმაოდ ძლიერი ინდიკატორები იყო შენიშნული, როდესაც ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალური რესურსები. ასევე აღინიშნა ერთ-ერთ კომპანიასთან თანამშრომლობა რომელიც არის კონცენტრირებული ტომოგრაფიის ტექნოლოგიებზე. აქვე დაამატა, რომ ლაბორატორიული გადმოსახედიდან უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი ბაზა. მნიშვნელოვანია ის, რომ უნივერსიტეტს დამატებით გააჩნია საკუთარი ჰოსპიტალი. ეს გარემოებები ექსპერტებისათვის იყო საკმარისი, რომ მათ ეთქვათ, რომ შექმნილია შესაბამისი გარემო სტუდენტების სადოქტორო განათლებისთვის. ასევე პოზიტიურად იყო შეფასებული კურიკულუმიც, რომელშიც ასევე ინტეგრირებული იყო სწავლა სწავლების უნარებთან დაკავშირებული კურსები. შესაძლებელია გარკვეული განვითარება, მაგრამ ზოგადად მიჩნეულ იქნა საკმაოდ დადებითად. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ პროფესიული კურსებიც არის საკმაოდ კარგად ინტეგრირებული, რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია გარკვეული დისკუსიის გამართვაც, მაგრამ ზოგადი შეფასება ექსპერტთა ჯგუფის არის ის, რომ პროგრამის კურიკულუმი და სტრუქტურა არის საკმაოდ გამართული. ბოლოს თქვა, რომ პროგრამა საერთო ჯამში შეფასდა საკმაოდ დადებითად, აღნიშნა სხვადასხვა სტანდარტების თემატიკების მიხედვით, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია, კვლევითი საკითხები, რესურსები იყო მიჩნეული ყველა შესაბამისობაში. ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ თავად უნივერსიტეტში არის ინტერნაციონალიზაციაზე და განვითარებაზე ორიენტირებული ეკოსისტემა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ხარისხის მართვის კუთხიდანაც ეფექტიანი მიდგომები იყო შენიშნული. რა თქმა უნდა, შესაძლებელია დამატებით რჩევების გაცემა, მაგრამ ამ ეტაპზე პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად არის შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომ მათ ზუსტად დაინახეს და შეაფასეს უნივერსიტეტის პოტენციალი და ის მიზანი, რაც მათ დასახული აქვთ ამ პროგრამის ფარგლებში.
პროგრამის ხელმძღვანელი პავლე ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ არ ჰგონია, რომელიმე სხვა უნივერსიტეტს ჰქონდეს სადოქტორო პროგრამის ასეთი პერსპექტივა, როგორიც აქვს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს, თუნდაც იმიტომ, რომ ბაზა არის ძალიან ძლიერი. გარდა ''კომპოკვალური'' მიკროსკოპისა, რომელიც საქართველოს ისტორიაში პირველადაა ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტში, რაც ბოლო სიტყვაა ''ფოტონურ ოპტიკაში და ფოტონურ მიკროსკოპიაში''. ასევე ელოდებიან სექტემბერში ელექტრონულ მიკროსკოპს, რომელიც არის სპეციალურად სამ განზომილებიანი სტრუქტურის შესწავლისათვის. აღნიშნა,

რომ თვითონ არის ''ალცაისის'' კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი, ამიტომ მოქმედებენ ამ კომპანიის ქოლგის ქვეშ, რომელიც ლიდერია მსოფლიოში მიკროსკოპების მიმართულებით, მათ მანქანებზე მუშაობა ძალიან სერიოზული და ძლიერი ტექნიკური ბაზაა. თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული პროგრამა არის ძალიან მაღალი დონის და მსოფლიო სტანდარტების. მაგალითად ქსოვილოვანი ინჟინერია, რაც საქართველოსთვის ახალია, რომელსაც ასევე თვითონ ხელმძღვანელობს და მის პლატფორმასაც აყალიბებენ. აღნიშნა, რომ თვითონ წარმოადგენს კვლევით ნაწილს იგი არის უჯრედული ბიოლოგი, მიკროსკოპისტი, ამიტომ საუბრობს მიკროსკოპიაზე. ხანდახან დაისმის კითხვა, თუ რატომ უნდა მოვიდეს სტუდენტი აქ. რაც მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან სადოქტორო პროგრამის სტუდენტი იხდის სერიოზულ თანხას და აინტერესებს რას მიიღებენ აქ სწავლით. თამამად შეუძლიათ თქვან, რომ აძლევენ უნიკალურ შესაძლებლობას „ჰაი ტეკ'' მანქანებზე, მიკროსკოპებზე უნიკალური პროექტების შესრულების. განმეორდა და აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიაში ასეთი მიკროსკოპული ბაზა არის პირველად შექმნილი. ამისთვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის პროგრესულ ადმინისტრაციას. შესაბამისად, თუ მათთან მიდის სტუდენტი, ის შეასრულებს მსოფლიო დონის პროექტებს. ეს იქნება ფუნდამენტური კვლევა უჯრედულ ბიოლოგიაში თუ ბიოსამედიცინო კუთხით. ისინი აპირებენ მჭიდრო კონტაქტს კლინიკებთან, მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. თუ ეხებიან ქსოვილოვან ინჟინერიას, ეს არის საფუძველი რეგენერაციული მედიცინის. აღნიშნა, რომ მათ აქვთ თავიანთი პლატფორმა ქსოვილოვანი ინჟინერიის, რომელიც იყენებს სუბსტრატებს, რომლებიც დამუშავებულია მხოლოდ ქართველი ქიმიკოსების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ქეთევან ქუთათელაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დასკვნის ქართულ ვარიანტში, მე-15 გვერდზე ექსპერტები წერენ სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით, რომ სადოქტორო პროგრამა ზედმეტად ფოკუსირებულია სახელმძღვანელოს ტიპის ლიტერატურაზე, რაც შეიძლება დოქტორანტურის დონეზე არ წარმოადგენდეს სწავლების ადეკვატურ მეთოდოლოგიას. შემდეგ წერენ, რომ ზოგიერთი თემა ზედმეტად ზოგადია და სასარგებლო იქნებოდა უახლესი ტენდენციების ჩართვა. ასევე მითითებულია, რომ კარგი იქნებოდა გამოყენებული იყოს ინოვაციური მიდგომები კვლევაზე ორიენტირებული ინტერაქტიური სწავლება დოქტორანტურის დონეზე და შემდეგ მოდის მაგალითი შებრუნებული საკლასო ოთახი, პრობლემის გადაჭრის საფუძველზე სწავლება და ა.შ. საბჭოს წევრმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა, რომ უფრო დააკონკრეტონ ექსპერტებმა რომელ სასწავლო კურსებზეა საუბარი და განმარტონ აღნიშნული საკითხი.

ექსპერტთა თავმჯდომარემ თქვა, რომ გარკვეული შენიშვნები იყო გაკეთებული სახელმძღვანელოების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა ამჟამად არ ახსოვს რომელ კურსებთან დაკავშირებით იყო გაცემული. თუმცა ლოგიკა, რაც ექსპერტებმა დაინახეს იყო ის, რომ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა არის ღია სხვა დარგის კურსდამთავრებული სტუდენტებისთვისაც, ასეთ შემთხვევაში უფრო მარტივი უნდა იყოს ამ დარგებში ახალი მოსული სტუდენტებისთვის რაღაცების ათვისება, ხოლო მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით ნახეს, რომ ხდება თანამედროვე სტატიების და შესაბამისი ლიტერატურის გამოყენება, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საერთო ჯამში ამ კუთხით უნივერსიტეტი კარგად აკეთებს ამ მიმართულებას.

ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ითხოვა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დაზუსტება, კერძოდ 4.2 ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილში, 28-ე გვერდზე მითითებულია, რომ დოქტორანტების პირველი ნაკადისათვის მატერიალური რესურსი საკმარისია. საბჭოს წევრმა დასვა კითხვა, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი პროგრამის მდგრადობა იმისათვის, რომ არა მხოლოდ პირველი ნაკადისთვის, არამედ მომდევნო ნაკადისათვის იყოს მზად და მიიღოს დოქტორანტები. რაც შეეხება მეორე კითხვას, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მათ კომპიუტერული პროგრამის გამო ვერ შეძლეს ლიტერატურის კატალოგში მოძიება. ერმილე მესხიამ დასვა შეკითხვა, დაზუსტდა თუ არა ეს საკითხი შემდეგ?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა ბოლო კითხვას და აღნიშნა, რომ ყველა სავალდებულო თუ დამხმარე ლიტერატურა, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის გამართულად უზრუნველსაყოფად, ან შეძენილია ან ონლაინ არსებობს უნივერსიტეტში. უბრალოდ საკითხი მდგომარეობდა იმაში, რომ ყველაფერი განთავსებული იყო კომპიუტერში, მაგრამ არ იყო ატვირთული ჯერჯერობით ონლაინ ბაზაში, რადგან სასწავლო პროცესი ჯერ არ არის დაწყებული. სხვა საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი გამორჩეული ბიუჯეტის კუთხით, საკმაოდ დიდი თანხაა ბიუჯეტში გამოყოფილი როგორც კვლევისთვის, ისე საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი პროცესისთვის და რესურსისთვის. აღნიშნა, რომ მე-11 ფაილში წარმოდგენილია, როგორც უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, ასევე პროგრამის ბიუჯეტი. ცხადია, რომ პროგრამის ბიუჯეტი ჯერ-ჯერობით არ არის მოქმედი, თუმცა 2022-2023 წლისთვის შიდა გრანტებისთვის გამოყოფილი იყო 7 მილიონი ლარი, რაც განთავსებულია საიტზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია, ამ გრანტებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც სტუდენტებს ასევე თანამშრომლებს.
საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ დასვა შეკითხვა, იყო თუ არა ის ინფორმაცია, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე წარმოადგინა, ხელმისაწვდომი ექსპერტებისთვის და თუ იყო, რატომ გაჩნდა ეს ჩანაწერი დასკვნაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ პირველად ვერსიაში გაგზავნილი ჰქონდათ მხოლოდ პროგრამის ბიუჯეტი, დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, რაც ასევე მიაწოდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ პირველად ვერსიად გამოეგზავნათ ინგლისური დასკვნა და დაამატა რომ ქართული დასკვნა ბოლომდე სრულყოფილად ნათარგმნი არ არის. ამიტომაც ხელმძღვანელობენ ინგლისურენოვანი დასკვნით.
საბჭოს წევრი თამარ სირაძე მისალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა დამაზუსტებელი კითხვა, რომელიც ეხება კვლევით კომპონენტს, თუ რა კავშირია ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამ კვლევასა და შემდეგ კოლოკვიუმ- დისერტაციასთან.
16:41 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ლევან ნიკოლეიშვილმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი ეტაპი არის ზოგადად სასწავლო კომპონენტის დასრულება, შემდეგ მოდის ეტაპები, რომელიც მოიცავს ნაშრომის სათაურის, სტრუქტურების, გეგმის შედგენას და ა.შ. ეს არის კვლევის პროცესი, რომ იყოს აღრიცხული დისერტაციის დაცვამდე. ეს კომპონენტი არ ფასდება. დაწესებულების პოზიციაა ის, რომ პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები და მონაცემთა ბაზაში ინახება ეს ინფორმაცია. ამას აკეთებენ შიდა პროცესების გამართულად უზრუნველსაყოფად. ცალკე ასევე აქვთ სემინარის ნაწილი, რომელიც ასევე კვლევითი კომპონენტის მიმართულებაა, თუმცა არ ეხება დისერტაციას.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:47 სთ
დასრულების დრო:17:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები
მომხრე: 18
მოწინააღმდეგე: 0
გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

1. სასურველია, პროგრამაზე დროულად გამოცხადდეს დოქტორანტების (მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების) მიღება.
2. სასურველია არჩევითი სამეცნიერო კურსის შინაარსის გაფართოება/გამრავალფეროვნება, რათა დაიფაროს ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს უჯრედულ ბიოლოგიასა და ნეირობიოლოგიაში. ამას შეიძლება დაერთოს საბაზისო დონის არჩევითი საგნების შექმნა სხვადასხვა მომზადების სტუდენტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ გამოცდილება კონკრეტულ სფეროში.
3. გირჩევთ, არჩევითი სამეცნიერო კურსის შინაარსის გაფართოებას, რათა აღმოფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს უჯრედულ ბიოლოგიასა და ნეირობიოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოდულურობის დამატების პრინციპი ძალიან დადებითად მიიღეს გასაუბრების დროს.
4. დაამატეთ ნეირობიოლოგიის/ნეირომეცნიერების ერთი ან მეტი არჩევითი კურსი
5. შეასწორეთ შეუსაბამობა კვირეულსა და საერთო საკონტაქტო საათებს შორის სილაბუსებში.
6. პროგრამის წარმატების შემთხვევაში, სტუდენტების რაოდენობა შეიძლება სწრაფად გაიზარდოს. ეს შესაძლოა წინასწარ მოგვერდეს თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროექტებითა და კურსის საათობრივი დატვირთვის შემცირებით (იხ. წინა სექციები), რათა შემსუბუქდეს სასწავლო დატვირთვის ნაწილი მასწავლებელთათვის და ეს დრო დოქტორანტის სწავლებასა და ხელმძღვანელობას დაეთმოს.
7. სასურველია პროგრამამ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ, შეისწავლოს, როგორ უზრუნველყოს, სტუდენტების სრული ანაზღაურება დოქტორანტურასა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებისას.

მესამე საკითხი. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#613905, 8.06.2022
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯემენტი და ადმინისტრირება.
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი 31, 0144
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ვასილ კიკუტაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოადგენს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშს. პროგრამა გახლავთ ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2022 წელს. აკრედიტაციის დროს გაცემულ იქნა ოთხი რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა ინგლისურენოვან მოდულში B2 დონის ინგლისურის წინაპირობის განსაზღვრას. აღნიშნა, რომ დაწესებულებას ოთხივე რეკომენდაცია ზედმიწევნით აქვს შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია, თუმცა, მუშაობა მაინც მიმდინარეობს პროგრამის სრულყოფისთვის. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ღირებული რჩევებისთვის, რომლის გათვალისწინებითაც შეძლეს კიდევ უფრო დაეხვეწათ და გაუმჯობესებინათ ზოგიერთი საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:18 სთ
დასრულების დრო: 17:20 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.
კენჭისყრის შედეგი
მომხრე: 18
მოწინააღმდეგე: 0
გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულიშპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

მეოთხე საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30/05/2022 , გადაწვეტილება №559045
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა, 0412
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ზანდუკელის #16, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრებმა ნინო ჭალაგანიძემ, მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ღაღანიძემ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
სოფიო ხუნდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გაცემული იყო 6 რეკომენდაცია და 7 რჩევა. წარმოდგენილი ანგარიშის და მასალების საფუძველზე კი დასტურდება, რომ ექვსივე რეკომენდაციის და რჩევების უმეტესი ნაწილის შესრულებულია. წარმოდგენილია რეკომენდაციების შესრულების დეტალური აღწერა და შესაბამისი მტკიცებულებები, პროგრამა, განახლებული მემორანდუმები და ა.შ

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან მოსაზრებები არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:23 სთ
დასრულების დრო: 17: 27 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

კენჭისყრის შედეგი
მომხრე: 15
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულისსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

მეხუთე საკითხი. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08 ივლისი 2022წ. №781255
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0103, თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი 16
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ვასილ კიკუტაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საუბარია „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. მისი განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია შესრულებული აქვს. ნაწილი რეკომენდაციებისა არის გავრცობით ხასიათის, შესაბამისად, პროცესი დაწყებულია და შეფასების მიზნებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ კარგად მიმდინარეობს და უმეტესობა დასრულებულია. გარკვეული საკითხები უნდა შეფასდეს დროში, რომელიც შემდგომ განხორციელდება და ეს ჩვეულებრივი პროცესია. საბოლოოდ აღნიშნა, რომ მისი შეფასებით ყველა რეკომენდაცია არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებულია, ხოლო ისეთი რეკომენდაციები, რომელიც არის განგრძობითი ხასიათის, მაგალითად, აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა და ა.შ. ყოველდღიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებში და აქტივობებშია განსაზღვრული და შესაბამისად ხორციელდება მათი შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო ამ პროგრამის ქართულენოვანი ლიტერატურა.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა არსებობს, ზოგიერთი მათგანი ახლაც არის განახლების პროცესში. თუმცა, ძირითადი პროფესიაზე გამყვანი ლიტერატურა აქვთ ინგლისურ ენაზე ჩასმული, მაშინ როდესაც უკვე სტუდენტები ფლობენ B2 დონეს და ადასტურებენ როგორც ზოგად, ისე პროფესიული ინგლისურის კომპეტენციას. მან აღნიშნა, რომ იყენებენ ინგლისურენოვან ლიტერატურას, ვინაიდან ყველა ლიტერატურა არ არის ნათარგმნი, დარგიდან სპეციფიკიდან გამომდინარე უცხო ენაზე მათი

განახლება ხშირია, შესაბამისად, უფრო პრაქტიკულია უცხო ენაზე განახლებული ლიტერატურა გამოიყენონ, ვიდრე ქართულ ენაზე თარგმნონ, რადგან არ არის რესურსი ასეთი სიხშირით აჰყვნენ ტემპს და ქართულ ენაზე ყოველთვის ჰქონდეთ განახლებული ლიტერატურა.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა ასევე კითხვა დაწესებულება ხომ არ ფიქრობს მონაწილეობა მიიღოს საგრანტო პროგრამაში, რომელიც აშშ-ს საელჩოს აქვს წიგნის თარგმნის მიმართულებით, რაც შესაძლებელს გახდის, რომ აღნიშნული გრანტების საშუალებით სფეროს ლიტერატურა ითარგმნოს.
რაზეც უპასუხა, რომ გეგმაში აქვთ ახალი ლიტერატურის თარგმანი, ასევე აღნიშნა, რომ დღევანდელ დღეს მუშაობენ ერთ-ერთი გრანტის ფარგლებში ქართულ-ინგლისურ საავიაციო ტერმინოლოგიის ლექსიკონზე, რომელიც ასევე გამოყენებული იქნება ამ მიმართულებით. 1 წლის შემდეგ მთლიანად დასრულებული ექნებათ საავიაციო სფეროსთვის ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიის ლექსიკონი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:34 სთ
დასრულების დრო: 17:38 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.
კენჭისტრის შედეგი
მომხრე:18
მოწინააღმდეგე: 0
გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებულიშპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში

17:40 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგენიძემ.

მეექვსე საკითხი. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.07.2019 №148
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0619 ინფომაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეშვიდე საკითხი. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.07.2017 №49
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრებმა : მარინე მაისურაძე, ლაშა ჩხარტიშვილმა და გურანდა ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე და მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მანანა ხაჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას თქვა, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შეისწავლეს წარმოდგენილი მასალები. შეფასდა 1-ელი, მე-2 და მე-4 სტანდარტის 1-ელი ქვესტანდარტი. მან აღნიშნა, რომ ამ სტანდარტებთან მიმართებით ყველაფერი წესრიგშია, შესაბამისად ის ცვლილებები, რაც კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილებამ გამოიწვია, აკმაყოფილებს პირობებს. აქვე დაამატა, რომ იყო რიგი ტექნიკური რჩევები, ხარვეზები, ტექსტობრივად ბევრგან ჩარჩენილია საბაკალავრო ნაშრომი. შესაბამისად ჰქონდათ ტექნიკური ტიპის შენიშვნა, გასწორებულიყო და საბაკალავროს ნაცვლად ჩაწერილო სამაგისტრო ნაშრომი. ასევე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში საუბარი იყო შეფასების კრიტერიუმზე და მათ მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია გულისხმობდა კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის განსაზღვრას, თუმცა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხიც შესაძლოა ჩაითვალოს, რომ ტექნიკური ხარვეზია. თუმცა, რადგანაც

წარმოდგენილ მასალაში არ იყო დაფიქსირებული, მიზანშეწონილად ჩათვალეს რეკომენდაციად ყოფილიყო განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. აღნიშნა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზები, ორგან იყო სიტყვა ''საბაკალავრო'' ჩარჩენილი რაც გაასწორეს. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ნაწილს, ვინაიდან ახალ ჩარჩოზე გადაყვანის პროცესი დანართად არ ითხოვს სამაგისტრო დებულების წარდგენას, ამიტომ არ ჰქონდათ თავის დროზე აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილი. დაწესებულებაში არა მარტო ამ სამაგისტრო პროგრამაზე, არამედ სხვა ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში და მის შეფასების ნაწილში, არის მაგისტრატურის დებულება, სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველაფერი. მან აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიციის დროს დანართის სახით, სადაც დეტალურად არის მოყვანილი შეფასების ნაწილიც. რაც შეეხება სილაბუსს, აღნიშნა, რომ სილაბუსში მოკლედ ეწერა და შესაძლოა გაუგებრობა ამან გამოიწვია. მინისტრის N3 ბრძანებიდან მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი იყო გადმოტანილი, ვინაიდან ამ ბრძანებიდან შეფასების გრადაცია გადმოდის ცვლილების გარეშე, სილაბუსში კი არ იყო დამატებით მოყვანილი ის მე-5 პუნქტი, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხებს, რაზეც ექსპერტმა გააკეთა აქცენტი. რაც დაწესებულებას ჰქონდა სამაგისტრო დებულებაში, რითაც ხელმძღვანელობენ წლების განმავლობაში. შესაბამისად, სილაბუსში დააკონკრეტეს, რათა მსგავსი შემთხვევა აღარ იყოს.

თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტი არის გამართული, მათ შორის სილაბუსი. აქვე დაამატა, რომ ეს უფრო ტექნიკური ხარვეზი იყო ვიდრე დაწესებულების მხრიდან მინისტრის ბრძანების უგულებელყოფა. ვინაიდან ეს ეხებოდა შეფასების სისტემას და კანონმდებლობასთან შესაბამისობას, ვერ გაიტანდნენ რჩევაში. ყველაფერი დანარჩენი კი ნამდვილად გამართულ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:45 სთ

დასრულების დრო: 17:47 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი

მომხრე: 14

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ინფორმაციული

ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი
მომხრე: 14
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მერვე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №427063 “სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

მეცხრე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №632907 “სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასალათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

უმაღლესი განათლების ხარისხს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგლე, ქეთევან ინანაშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხება აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №427063 “სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ” გადაწყვეტილების და - 2021 წლის 25 ივნისის №632907 “სსიპ - საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის "მასალათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ, კერძოდ, მოხსენიებული პროგრამის კვალიფიკაციის დაზუსტების საკითხს. ცენტრის სამუშაოებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ კვალიფიკაცია ორი პროგრამისთვის რომელიც ოქმში არის ასახული მოითხოვს დაკორექტირებას. ასევე თქვა, რომ კვალიფიკაციების სამსახური ადასტურებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების და კითხვარების შესაბამისობას, ოღონდ ცენტრის კომპეტენციების ნაწილში. ცენტრის კომპეტენციის ნაწილია ამ შემთხვევაში კვალიფიკაციების ფორმირება, აკრედიტაციის შესახებ ინფორმირება და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან კავშირი. შესაბამისად ოქმში ჰქონდათ ორი შემთხვევა, როდესაც მისანიჭებელი კვალიფიკაციები იყო დასაკორექტირებელი ამის შესახებ ასევე ითანამშრომლეს დაწესებულებასთან.
ესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - პროგრამა -მასალათმცოდნეობა ; გადაწყვეტილების N 632907, (25/06/2021) დანართში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის - "მასალათმცოდნეობის მაგისტრი", უნდა იყოს - "მასალათამცოდნეობის მაგისტრი". ოლო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა -ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები გადწყვეტილების N 427063; (18/04/2023) დანართში მისანიჭებელი კვალიფიკაცია გადაწყვეტილებით არის - "შედარებითი ლიტერატურის მაგისტრი", უნდა იყოს - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი.
საბჭომ კენჭისყრის შედეგად დააკმაყოფილ აღნიშნული შუამდგომლობა.

გადაწყვიტა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ევიდეს ცვლილება აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის №427063 “სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალობდეს შემდეგი სახით: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი.

გადაწყვიტა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ევიდეს ცვლილება აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №632907 “სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასალათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილების დანართ№1-ში და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მასალათამცოდნოების მაგისტრი

მეათე საკითხი: სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ანგარიშის წარმოდგენის გადავადებასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენემა განმარტა, რომ ანგარიშის წარმოდგენის ვადამდე ერთი დღის ადრე გარდაიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რის გამოც უწევთ რიგ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა, შესაბამისად განახლებული და დაზუსტებული ინფორმაციის ასახვისათვის მათ ესაჭიროებათ დამატებითი ვადა.
საბჭომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2023 წლის 31 აგვისტო.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:13 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი